საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
მანათლებლის ხარისხის მანვითარების
ეროვნული ცენტრი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-
NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

MES 5 15 01293780

10/12/2015

საქართველოს პრეზიდენტს,
ბატონ გიორგი მარგველაშვილს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2015 წლის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის შესახებ, კერძოდ:

ა) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით ცენტრში სულ შემოვიდა 138 განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, შესაბამისად, უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებაც არ მიღებულა. ამჟამად წარმოებაშია 2 განცხადება.

ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე დაკმაყოფილდა 121 განცხადება, ხოლო 5 განმცხადებელს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან წარმოდგენილი საკითხების შესახებ ინფორმაციის ფლობა/დამუშავება სცდებოდა ცენტრის კომპეტენციის ფარგლებს.

აქვე მოგახსენებთ, რომ 3 განმცხადებლის კორესპონდენციაში დასმული საკითხის ბუნდოვანობიდან გამომდინარე, მოთხოვნის დაზუსტების მიზნით, ცენტრის მიერ თითოეულ მათგანთან გაიგზავნა წერილები, რასაც განმცხადებლის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

2015 წლის საანგარიშო პერიოდში, 3 განმცხადებელს ეცნობა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია გადაეცემათ ცენტრის რეესტრის ბაზაში მიმდინარე ტექნიკური სამუშაოების დასრულების შემდეგ.

ასევე, 3 განმცხადებელს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რადგან მოთხოვნილი ინფორმაცია, თავისი არსით, წარმოადგენდა არა საჯარო ინფორმაციას, არამედ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ, უშუალოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებასთან დაკავშირებულ, შიდაუწყებრივი ხასიათის დოკუმენტაციას.

საქართველო, თბილისი 0193, მ.ალექსიძის ქ.№1; ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 200220(3546); (+995 32) 2 200220(3540) ; www.eqe.ge; info@eqe.ge
1, M. Aleksidze str; 0193 Tbilisi, Georgia, Phone/ Fax:(+995 32) 2 200220(3546);(+995 32)2 200220(3540) www.eqe.ge; info@eqe.ge

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-14 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, არ დაკმაყოფილდა საჯარო ინფორმაციის ინგლისურ ენაზე გაცემის მოთხოვნით შემოსული 1 განცხადება.

ასევე, 1 განმცხადებელს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რადგან, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კორესპონდენციაში დასმული საკითხი მოიცავდა არა საჯარო, არამედ პერსონალური მონაცემების დამუშავებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული 1 განცხადება ქვემდებარეობით გადაიგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შემდგომი რეაგირებისათვის.

კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ცენტრის დირექტორის 2015 წლის 05 იანვრის N04 ბრძანების საფუძველზე ცენტრის იურიდიული და ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახურის სამართალშემოქმედების სამმართველოს სპეციალისტი - ნათია ჯუღელი დაინიშნა საჯარო ინფორმაციის გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად, ხოლო 2015 წლის 10 მარტს ცენტრის დირექტორის N172 ბრძანების საფუძველზე, საჯარო ინფორმაციის გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად დაინიშნა იურიდიული და ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახურის სამართალშემოქმედების სამმართველოს სპეციალისტი - ნინო მეგენეიშვილი, რომლის არყოფნის პერიოდშიც მის მოვალეობას, ცენტრის დირექტორის ბრძანებათა საფუძველზე, ასრულებდა იურიდიული და ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახურის სამართალშემოქმედების სამმართველოს სპეციალისტი - გვანცა ბოჭორიშვილი.

გ) საჯარო მონაცემთა ბაზების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ მოთხოვნა ცენტრში არ შემოსულა. საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების გადაცემის შესახებ შემოვიდა 3 განცხადება, ხოლო პერსონალურ მონაცემთა სხვისთვის გადაცემის თაობაზე - 2 მოთხოვნა.

დ) 2015 წლის საანგარიშო პერიოდში ცენტრის ორი თანამშრომლის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - „შენიშვნა“ და ორივე შემთხვევაში აღნიშნული პასუხისმგებლობის ზომა მოიხსნა ვადაზე ადრე.

ე) როგორც აღინიშნა, ცენტრს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია. ამდენად, რელევანტური საკანონმდებლო აქტების გამოყენების აუცილებლობა არ დამდგარა.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასა და, შესაბამისად, გასაჩივრებას ადგილი არ ჰქონია.

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა, შესაბამისად, გასაჩივრებასთან

დაკავშირებული ხარჯებს, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ თანხის გადახდას, ადგილი არ ჰქონია. ასევე, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიღებულა, შესაბამისად, გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები არ გაწეულა.

აქვე გაცნობებთ, რომ ცენტრს გადაეცა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) სპეციალური ჯილდო „2015 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის“.

პატივისცემით,

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
შარვაშიძე გიორგი